

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2024 წლის 31 დეკემბერს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადანაცვებულებები.....	20
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	20
6. ამონაგები.....	23
7. საქონლის რეალიზაციის თვითღირებულება.....	23
8. პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა	23
9. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	23
10. ძირითადი საშუალებები	24
11. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	25
12. არამატერიალური აქტივები.....	26
13. მარაგები.....	26
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	27
15. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	27
16. სააქციო კაპიტალი.....	27
17. მიღებული სესხები	28
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	28
19. პირობითი ვალდებულებები	28
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	29

მმართველობის ანგარიშგება.....	30
-------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაციის აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაციის (შემდგომში - კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული ფასის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრულ ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასა და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩნია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვემაფთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

3 ივლისი, 2025

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია


სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	6	27,930,084	24,195,412
საქონლის რეალიზაციის თვითღირებულება	7	(1,902,007)	(1,946,370)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(4,552,534)	(4,134,020)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,636,092)	(2,914,513)
პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა	8	(3,162,375)	(2,467,343)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(3,052,053)	(2,759,981)
საოპერაციო მოგება		12,625,023	9,973,185
წმინდა ფინანსური ხარჯი		(440,547)	(367,711)
წმინდა გარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(252,133)	(113,123)
მოგება დაბეგვრამდე		11,932,343	9,492,351
მოგების გადასახადის ხარჯი		(2,365)	-
წლის მთლიანი სრული მოგება		11,929,978	9,492,351

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 3 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	eSigned by: Alexander Ketishvili: 4e23b46b-163f-4b1c-91cc-0....  Certified by Signify	ალექსანდრე ქეთიშვილი
ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი	eSigned by: ანა ანანიშვილი: 02e4a6dc-c93e-4088-8c51-f7....  Certified by Signify	ანა ანანიშვილი

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	4,463,849	4,031,577
აქტივის გამოყენების უფლება	11	2,325,656	2,343,029
არამატერიალური აქტივები	12	35,025,818	25,955,465
		41,815,323	32,330,071
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	13	1,346,714	1,189,096
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	3,853,134	2,343,728
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	535,265	200,850
		5,735,113	3,733,674
სულ აქტივები		47,550,436	36,063,745
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	16	2,888,220	2,888,220
გაუნაწილებელი მოგება		38,771,938	26,841,960
სულ კაპიტალი		41,660,158	29,730,180
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	17	-	933,320
საიჯარო ვალდებულებები	11	2,017,000	1,986,506
		2,017,000	2,919,826
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	17	1,157,680	1,276,876
საიჯარო ვალდებულებები	11	613,711	433,049
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	1,832,054	1,280,238
საგადასახადო ვალდებულება		269,833	423,576
		3,873,278	3,413,739
სულ ვალდებულებები		5,890,278	6,333,565
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		47,550,436	36,063,745

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია
 ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	2,888,220	17,349,609	20,237,829
წლის მთლიანი სრული მოგება	-	9,492,351	9,492,351
2023 წლის 31 დეკემბერი	2,888,220	26,841,960	29,730,180
წლის მთლიანი სრული მოგება	-	11,929,978	11,929,978
2024 წლის 31 დეკემბერი	2,888,220	38,771,938	41,660,158

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		11,932,342	9,492,351
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	10,11,12	2,636,092	2,914,513
წმინდა ფინანსური ხარჯი		440,547	367,711
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		252,134	113,123
წმინდა ზარალი არამატერიალური აქტივების ჩამოწმებიდან	12	12,537	-
		15,273,652	12,887,698
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
მარაგები		(157,618)	33,180
საგადასახადო აქტივი		(1,509,406)	(962,082)
საგადასახადო ვალდებულება		(153,743)	423,576
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები		(5,423)	453,515
საგაჭრო და სხვა ვალდებულებები		590,663	(489,186)
ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		14,038,125	12,346,701
გადახდილი პროცენტი		(203,573)	(282,852)
გადახდილი მოგების გადასახადი		(2,364)	-
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		13,832,188	12,063,849
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(1,225,673)	(316,345)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(10,259,761)	(9,680,285)
მიღებული პროცენტები		21,579	9,893
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(11,463,855)	(9,986,737)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
სესხების მიღება		400,000	-
სესხების გადახდა		(1,507,752)	(1,129,866)
საიჯარო ვალდებულებების გადახდა		(812,212)	(710,833)
აქციების გამოშვება		-	-
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება ფინანსური საქმიანობიდან		(1,919,964)	(1,840,699)
წმინდა ზრდა ფულისა და ფულის ეკვივალენტებში		448,369	236,413
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		200,850	94,921
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(113,954)	(130,484)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		535,265	200,850

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია (შემდგომში - კომპანია) დაფუძნდა 2001 წლის მარტში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმაა სააქციო საზოგადოება.

კომპანია არის სერტიფიცირებული საპროცესინგო ცენტრი საერთაშორისო საბარათე სისტემების - VISA International, MasterCard Worldwide და China Union Pay-ის ბარათების გამოშვებასა და მომსახურებაში. 2011 წლის თებერვლიდან კომპანია სერტიფიცირებულია PCI DSS-ის მოთხოვნების შესაბამისად.

კომპანიის მთავარი საქმიანობაა უზრუნველყოს Visa international, MasterCard და China Union Pay-ის ბარათებით გადახდის პროცესი ბანკებში, ბანკომატებში, სავაჭრო ცენტრებსა და მომსახურების ობიექტებში საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში. დამატებით, კომპანიის საოპერაციო საქმიანობა მოიცავს ბანკომატების და პოს ტერმინალების რეალიზაციას, პროგრამული სისტემებისა და აპარატურის რემონტს და საოპერაციო სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფას.

ინფორმაცია კომპანიის აქციონერების შესახებ 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია მე-16 განმარტებით შენიშვნაში.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰყოლია საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

2024 წლის 2 თებერვალს შეიცვალა კომპანიის დირექტორი და ვლადიმერ ასლამაზიშვილი ჩაანაცვლა ლაშა ჩხაიძემ, ხოლო 2024 წლის 15 მაისს ახალი დირექტორი გახდა ალექსანდრე ქეთიშვილი.

კომპანიის იურიდიული მისამართია დავით აღმაშენებლის გამზირი #154, ჩუღურეთის რაიონი, თბილისი, საქართველო.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მოთიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხავს აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის ფუნქციონირებას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ახალი სტანდარტების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

მიწოდების ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიკური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ცვლილებები შეეხება შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

- ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

- ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;
- ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;
- ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

- ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს.

- მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (აღრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები). ცვლილებები მოიცავს:

- „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

- მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.
- ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

ფასს 19 შეიღობილი კომპანიები საჯარო ანგარიშგებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 რომელიც შესაბამის შეიღობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- საწარმო არის შეიღობილი კომპანია;
- საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშგებულება; და
- საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასს სტანდარტებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური აქტივები

სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი სამი კატეგორიიდან ერთ-ერთად: შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მენეჯმენტმა განსაზღვრა ბიზნეს მოდელი და კომპანიის მფლობელობაში არსებული ფინანსური აქტივები მიაკუთვნა - „ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით“ კატეგორიას.

ამორტიზებული ღირებულება

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია ფასს 9-ის პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპონდენციით და რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწმებს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური ვალდებულებები

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები სანყის აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს სანყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვა

კომპანია ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვას აკეთებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას გადახურული ნაშთის საფუძველზე, ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფასს 13 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

- იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
- პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
- ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 13-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების

პრინციპით. ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებასთან არის მიახლოებული.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი განევის პერიოდში. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილის გამოცვლის დროს განეული ხარჯი კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს ძირითადი საშუალების გაუფასურების ინდიკატორებს. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, მენეჯმენტი აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც არის უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება შემცირებულია მის ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ხარჯი კვლავ შემოსავლად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ აღგილი აქვს შეფასების ცვლილებას, რომლითაც თავდაპირველად განისაზღვრა აქტივის გამოყენების ღირებულება, ან იცვლება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალური ღირებულება.

გაყიდვისგან მიღებული სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება გაყიდვის დროს მიღებული შემოსავლისა და აქტივის ჩამოწერილი საბალანსო ღირებულების ურთიერთშედარების შედეგად.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
კომპიუტერები და სერვერული მოწყობილობები	3 - 15
ემბოსერები	4 - 15
ავტო და საოფისე აღჭურვილობა	5 - 15
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	საიჯარო პერიოდი
ავტომანქანები	5 - 8

არამატერიალური აქტივები

კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და შეიცავს კომპიუტერულ პროგრამებსა და ლიცენზიებს. კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების შესყიდვისას კაპიტალიზდება შესყიდვისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანისთვის განეული ხარჯები. კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა შენახვის ხარჯები აღიარდება ხარჯად მისი განევისთანავე. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივად 6 - 38 საანგარიშგებო წელზე.

მარაგები

მარაგების სანყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდგომარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, იმპორტის გადასახადი და სხვა პირდაპირი დანახარჯები.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის აღმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესწორების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი გაზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი იგივე 15% რჩება, ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად. გარდა ამისა, ნაცვლად წლიური ხარჯისა, მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება ყოველთვიურად არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია:

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

მოგების გადასახადის გარდა გადასახადები აღიარდება მაშინ როცა ადგილი აქვს დასაბეგრ მოვლენას. დასაბეგრი მოვლენა არის მოვლენა რომელიც წარმოშობს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები დაიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. დამატებითი ნაზრდი ხარჯების აღიარება, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ჩვეულებრივი აქციების გამოშვებასთან, ხდება კაპიტალიდან დაქვითვით, ნებისმიერი საგადასახადო თანხების გამოკლებით.

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

კომპანია შემოსავლებს იღებს განუვლი მომსახურებიდან. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლების მიღების მნიშვნელოვან წყაროებზე წარმოდგენილია ქვემოთ:

შემოსავლები განუვლი მომსახურებიდან

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია არის სერტიფიცირებული საპროცესინგო ცენტრი საერთაშორისო

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საბარათო სისტემების - VISA International, MasterCard Worldwide და China Union Pay-ის ბარათების გამოშვებასა და მომსახურებაში. კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ავტორიზაციებს, პერსონალიზაციას, პროექტების დანერგვასა და სხვა საპროცესინგო მომსახურებებს. შემოსავალი განეული მომსახურებიდან აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაიწევა მომსახურება. ფიქსირებული ფასის ხელშეკრულებებისთვის შემოსავალი აღიარდება იმ მოცულობით, რომლის ფარგლებშიც კომპანიას აქვს უფლება, რომ მომხმარებელს წარუდგინოს ინვოისი. ეს დამოკიდებულია მომხმარებლისთვის განეულ ფაქტობრივად შესრულებულ მომსახურებაზე. მომხმარებლებს ინვოისი ეგზავნებათ ყოველთვიურად და ეკისრებათ გადახდის ვალდებულება ინვოისის გამოწერისთანავე.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

განეულ მომსახურებაზე ფასის გადანაწილება ხდება ფიქსირებული ფასების მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულებაში და მოიცავს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების განწევასთან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება შემოსავლების პროპორციულად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

იჯარები

კომპანია როგორც მოიჯარე

იჯარის იდენტიფიკაცია

იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანიამ უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა აღიარებულია კომპანიის ბალანსზე შემდეგნაირად:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს უფლებას გამოიყენოს ძირითადი აქტივი იჯარის ვადის განმავლობაში;
- ვალდებულება იჯარის გადახდის ვალდებულებისათვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი

მიეკუთვნება.

პირველადი აღიარებისას, იჯარის ვალდებულების საბალანსო ღირებულება ასევე მოიცავს:

- თანხები მოსალოდნელი უნდა იყოს გადასახდელი ნებისმიერი ნარჩენი ღირებულების გარანტიით;
- კომპანიის სასარგებლოდ მინიჭებული ნებისმიერი შესყიდვის ვარიანტის განხორციელების ფასი, თუ გონივრულად დარწმუნებულია ამ ვარიანტის შეფასება;
- ნებისმიერი ჯარიმა გადასახდელი იჯარის შეწყვეტისათვის, თუ იჯარის ვადა შეფასებულია განხორციელების შეწყვეტის ვარიანტის საფუძველზე.

დანყების თარიღისთვის, კომპანია ზომავს სარგებლობის უფლებას ღირებულებით. სარგებლობის უფლების ღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას;
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დანყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- განუვლი პირველადი პირდაპირი ხარჯები; და
- ნებისმიერი რეზერვის ოდენობა აღიარებულია, როდესაც კომპანიას ხელშეკრულებით ევალება იჯარით გაცემული აქტივის დემონტაჟი, ამოღება ან აღდგენა

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დანყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით თუ, იშვიათად, ითვლება, რომ ეს უფრო მოკლეა ვიდრე იჯარის ვადა.

როდესაც კომპანია ხელახლა ამოწმებს ნებისმიერი ლიზინგის ვადის შეფასებას (რადგან, მაგალითად, იგი ხელახლა აფასებს ლიზინგის მიმღების გაგრძელების ან შეწყვეტის ვარიანტის განხორციელების ალბათობას), ის არეგულირებს იჯარის ვალდებულების საბალანსო ღირებულებას, რათა ის ასახავდეს გადახდებს გადახდილი ვადის განმავლობაში, რომლებიც დისკონტირებულია განახლებული დისკონტის განაკვეთით. იჯარის ვალდებულების საბალანსო ღირებულება ანალოგიურად გადაისინჯება, როდესაც ხდება სამომავლო იჯარის გადახდების ცვლადი ელემენტების გადასინჯვა, რომელიც დამოკიდებულია განაკვეთისა და ინდექსზე, გარდა დისკონტის განაკვეთისა, რომელიც რჩება უცვლელი. ორივე შემთხვევაში ექვივალენტური კორექტირება ხდება გამოყენების უფლების მქონე აქტივის საბალანსო ღირებულებასთან, ხოლო გადაფასებული საბალანსო ღირებულება ამორტიზდება დარჩენილი (გადახდილი) იჯარის ვადის განმავლობაში. თუ სარგებლობის უფლების აქტივის საბალანსო ღირებულება ნულოვანია, ნებისმიერი შემდგომი შემცირება აღიარდება მოგებაში-ზარალში.

როცა კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჭარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღირიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, ასევე ნებისმიერი პერიოდი, რომელიც დაფარულია იჯარის გახანგრძლივების უფლებით (მათ შორის, ჩვეული ბიზნესის პრაქტიკაში გათვალისწინებული განახლების ვარიანტი), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჭარე ამ უფლებას გამოიყენებს, ან ნებისმიერი პერიოდი დაფარულია იჯარის შეწყვეტის უფლებით, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჭარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას. კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ეწეებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ჩვეულებრივია, რომ იჯარის განახლების ვარიანტი ივლისსხმებოდეს ჩვეულებრივი ბიზნეს პრაქტიკის საშუალებით და არა ყველა განახლების ვარიანტი იყოს დოკუმენტირებული იჯარის ხელშეკრულებით. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

კომპანია იყენებს აღიარების გათვალისწინებით მოკლევადიანი იჯარისათვის (ანუ იჯარა იჯარის ვადით 12 თვიდან ან ნაკლები დანაშტის დღიდან) და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარით. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ხელფასი და მასთან დაკავშირებული ანაზღაურება

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება იმ წელს, როცა თანამშრომლისგან ხდება შესაბამისი მომსახურების მიღება.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისას და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებლობაში განთავსებული რესურსების საწარმოოდან გასვლა. ვალდებულების წარმოქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება” გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
 - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან
 - მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ეწეება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე განვითარებული მოვლენები, რომლებიც გვანდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ გაშიფრულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასება ხდება მსგავსი აქტივების გამოცდილების საფუძველზე. აქტივში განივთვებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი ძირითადად ამოწურება მისი გამოყენების მანძილზე. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან ეკონომიკური წუნი და ცვლილება, ხშირად განაპირობებს აქტივის ეკონომიკური სარგებლის დაქვეითებას. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების გამოყენების მოსალოდნელი პერიოდი; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვლილება, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და შენარჩუნების პროგრამაზე; და (გ) ტექნიკური ან კომერციული წუნი, რომელიც გამოწვეულია ბაზარზე პირობების ცვლილების შედეგად.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია ღვას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანია ღვას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია ღვება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშობება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები ღვებთან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,384,552	1,749,250
ფული და ფულის ეკვივალენტები	535,265	200,850
	2,919,817	1,950,100

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივები კომპანიისთვის არის სავაჭრო მოთხოვნები. კომპანიის დებიტორები წარმოდგენენ სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებიც წარმატებით ოპერირებენ ადგილობრივ ბაზარზე, რის გამოც მნიშვნელოვნად მცირდება საკრედიტო რისკი. კომპანიის მიერ კლიენტებისთვის შეთავაზებულ საკრედიტო პირობებში მითითებული გადახდის ვადა არასდროს აჭარბებს 30 დღეს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

კომპანიის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება იმ კაპიტალის და სახსრების მეშვეობით, რომლებიც გააჩნია მფლობელებს.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	453,756	756,259	-	1,210,015
საიჯარო ვალდებულებები	207,108	618,358	2,211,511	3,036,977
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	408,877	1,007,090	-	1,415,967
	<u>1,069,741</u>	<u>2,381,707</u>	<u>2,211,511</u>	<u>5,662,959</u>

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	364,667	1,094,000	972,444	2,431,111
საიჯარო ვალდებულებები	164,950	491,884	2,288,423	2,945,258
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,015,444	-	-	1,015,444
	<u>1,545,061</u>	<u>1,585,884</u>	<u>3,260,867</u>	<u>6,391,813</u>

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტუანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ ფინანსურ ინსტრუმენტებთან მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივები და ვალდებულებები.

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	აშშ		
	ლარი	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები			
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,618,856	749,226	16,470
ფული და ფულის ეკვივალენტები	156,973	26,282	352,010
	1,775,829	775,508	368,480
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	186,762	970,918	
საიჯარო ვალდებულებები	2,117	2,628,594	-
საგაჭრო და სხვა ვალდებულებები	395,170	121,328	899,469
	584,049	3,720,840	899,469
ლია საბალანსო პოზიცია	1,191,780	(2,945,332)	(530,989)

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	აშშ		
	ლარი	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები			
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,749,250		-
ფული და ფულის ეკვივალენტები	144,197	56,653	-
	1,893,447	56,653	-
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	-	2,210,196	-
საიჯარო ვალდებულებები	31,828	2,387,727	-
საგაჭრო და სხვა ვალდებულებები	460,395	-	555,049
	492,223	4,597,923	555,049
ლია საბალანსო პოზიცია	1,401,224	(4,541,270)	(555,049)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით ევროს გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას ევროს გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ ევროთი განხორციელებულ ოპერაციებს და აკორექტირებს მათ წლის ბოლოს ევროს კურსის 20%-იანი ცვლილების პირობებში. ფინანსური ინსტრუმენტების გავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კაპიტალზე მოცემულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	(ლარი/ აშშ დოლარი)	(ლარი/ევრო)	(ლარი/ აშშ დოლარი)	(ლარი/ევრო)
20% ზრდა	(589,066)	(106,198)	(908,254)	(111,010)
20% შემცირება	589,066	106,198	908,254	111,010

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. ამონაგები

	2024	2023
ამონაგები მომსახურებიდან:		
ავტორიზაცია	18,379,336	15,206,121
ბანკომატებისა და პოს ტერმინალების მომსახურება	2,241,813	2,409,615
პერსონალიზაცია და ბარათების ემისია	2,546,718	2,796,564
ბარათების ბაზის წარმოება	1,380,315	-
პროექტის დანერგვა და მხარდაჭერა	868,388	1,569,837
სხვა მომსახურება	411,823	63,453
	25,828,393	22,045,590
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან:		
ბანკომატებისა და პოს ტერმინალების გაყიდვა	1,776,081	2,149,822
ლიცენზიების გაყიდვა	325,610	-
	2,101,691	2,149,822
სულ ამონაგები	27,930,084	24,195,412

7. საქონლის რეალიზაციის თვითღირებულება

	2024	2023
ბანკომატებისა და პოს ტერმინალების გაყიდვა	(1,644,839)	(1,946,370)
ლიცენზიების გაყიდვა	(257,168)	-
	(1,902,007)	(1,946,370)

8. პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა

პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის ხარჯები მოიცავს ლიცენზიების სასარგებლო მომსახურების ვადის ამონურვამდე, მათ ეფექტურ მუშაობასთან დაკავშირებულ ყოველთვიურ ხარჯებს, რომლებსაც კომპანია უხდის ლიცენზიების მომწოდებლებს.

9. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
ბანკომატებისა და პოს ტერმინალების მომსახურება	(735,221)	(942,483)
კომუნიკაცია	(443,911)	(394,654)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურების ხარჯები	(381,632)	(237,919)
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	(264,682)	(182,454)
დამხმარე მასალების თვითღირებულება	(224,430)	(143,007)
საწვავი	(205,230)	(183,872)
კომუნალური ხარჯები	(156,518)	(159,006)
GPRS-მომსახურება	(154,630)	(128,083)
მიმდინარე რემონტი	(142,952)	(95,169)
საოფისე ხარჯები	(119,522)	(109,059)
ტრენინგის ხარჯები	(67,581)	(38,162)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(41,751)	(89,392)
სხვა	(113,993)	(56,721)
	(3,052,053)	(2,759,981)

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	კომპიუტერები და სერვერული მონწყობილობები	ემბოსერები	ავტო-მანქანები	ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	5,530,865	1,035,575	409,763	641,255	344,841	7,962,299
შემოსვლა	258,517	-		15,018	42,810	316,345
გასვლა	(65,862)	-		-	-	(65,862)
2023 წლის 31 დეკემბერი	5,723,520	1,035,575	409,763	656,273	387,651	8,212,782
შემოსვლა	1,127,023	-	83,399	6,297	8,954	1,225,673
2024 წლის 31 დეკემბერი	6,850,543	1,035,575	493,162	662,570	396,605	9,438,455
დაგროვილი ცვეთა						
2022 წლის 31 დეკემბერი	(2,386,442)	(403,046)	(149,255)	(348,839)	(191,268)	(3,478,850)
წლის ცვეთა	(513,177)	(57,168)	(69,181)	(66,002)	(62,689)	(768,217)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	65,862	-	-	-	-	65,862
2023 წლის 31 დეკემბერი	(2,833,757)	(460,214)	(218,436)	(414,841)	(253,957)	(4,181,205)
წლის ცვეთა	(599,132)	(57,156)	(58,639)	(51,331)	(27,143)	(793,401)
2024 წლის 31 დეკემბერი	(3,432,889)	(517,370)	(277,075)	(466,172)	(281,100)	(4,974,606)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2023 წლის 31 დეკემბერი	2,889,763	575,361	191,327	241,432	133,694	4,031,577
2024 წლის 31 დეკემბერი	3,417,654	518,205	216,087	196,398	115,505	4,463,849

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

11. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებზეც აღიარებულია აქტივის გამოყენების უფლება, მოიცავს ადმინისტრაციული ოფისებისა და საწყობების იჯარას. ხელშეკრულების განახლების უფლება დაფუძნებულია არსებულ ბიზნეს პრაქტიკაზე. იჯარების ვადიანობა განსაზღვრულია 1-დან 5 წლამდე. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია აშშ დოლარში. იჯარების ზღვრული საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა წლიურ 8%-9%-ს იჯარების ვადიანობის მიხედვით.

აქტივების გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საოფისე ფართი	მანქანები	სულ
2024 წლის 1 იანვარი	2,315,288	27,741	2,343,029
წლის განმავლობაში გაფორმებული ხელშეკრულებები	648,447	-	648,447
ცვეთა	(638,079)	(27,741)	(665,820)
2024 წლის 31 დეკემბერი	2,325,656	-	2,325,656

	საოფისე ფართი	მანქანები	სულ
2023 წლის 1 იანვარი	594,632	-	594,632
წლის განმავლობაში გაფორმებული ხელშეკრულებები	2,320,218	55,482	2,375,700
ცვეთა	(599,562)	(27,741)	(627,303)
2023 წლის 31 დეკემბერი	2,315,288	27,741	2,343,029

საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საოფისე ფართი	მანქანები	სულ
2024 წლის 1 იანვარი	2,389,858	29,697	2,419,555
წლის განმავლობაში გაფორმებული ხელშეკრულებები	648,447	-	648,447
საპროცენტო ხარჯი	256,959	1,594	258,553
საიჯარო გადასახადი	(780,921)	(31,291)	(812,212)
უცხოური ვალუტის გადაფასება	116,368	-	116,368
2024 წლის 31 დეკემბერი	2,630,711	-	2,630,711

	საოფისე ფართი	მანქანები	სულ
2023 წლის 1 იანვარი	626,564	-	626,564
წლის განმავლობაში გაფორმებული ხელშეკრულებები	2,320,218	55,482	2,375,700
საპროცენტო ხარჯი	89,923	4,829	94,752
საიჯარო გადასახადი	(680,219)	(30,614)	(710,833)
უცხოური ვალუტის გადაფასება	33,372	-	33,372
2023 წლის 31 დეკემბერი	2,389,858	29,697	2,419,555

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. არამატერიალური აქტივები

კომპანიის ძირითად არამატერიალურ აქტივებს 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს გადახდის სისტემებისათვის საჭირო პროგრამულ უზრუნველყოფასა და შესაბამის ლიცენზიებს.

ისტორიული ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა და შესაბამისი ლიცენზიები	არამატერიალური აქტივები განვითარების ფაზაში	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	20,858,857	3,429,539	24,288,396
შემოსვლა	1,958,002	7,722,283	9,680,285
შიდა მოძრაობა	6,806,967	(6,806,967)	-
2023 წლის 31 დეკემბერი	29,623,826	4,344,855	33,968,681
შემოსვლა	973,739	9,286,022	10,259,761
გასვლა	(15,989)	-	(15,989)
შიდა მოძრაობა	11,111,482	(11,111,482)	-
2024 წლის 31 დეკემბერი	41,693,058	2,519,395	44,212,453
დაგროვილი ამორტიზაცია			
2022 წლის 31 დეკემბერი	(6,494,224)	-	(6,494,224)
წლის ამორტიზაცია	(1,518,992)	-	(1,518,992)
2023 წლის 31 დეკემბერი	(8,013,216)	-	(8,013,216)
წლის ამორტიზაცია	(1,176,871)	-	(1,176,871)
ჩამოწერილი აქტივების დაგროვილი ამორტიზაცია	3,452	-	3,452
2024 წლის 31 დეკემბერი	(9,186,635)	-	(9,186,635)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2023 წლის 31 დეკემბერი	21,610,610	4,344,855	25,955,465
2024 წლის 31 დეკემბერი	32,506,423	2,519,395	35,025,818

* 2024 და 2023 წლებში არამატერიალური აქტივების შემოსვლა შესაბამისად მოიცავს სხვადასხვა პროგრამების შესაქმნელად დაკაპიტალიზებულ ხელფასებს 9,286,022 ლარისა და 7,722,283 ლარის ოდენობით.

13. მარაგები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მარაგები მოიცავს ბანკომატების, პოს ტერმინალებისა და ემბოსერის ნაწილებს.

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	2,384,552	1,732,090
სხვა მოთხოვნები	-	17,160
	2,384,552	1,749,250
არაფინანსური მოთხოვნები		
ძირითადი საშუალებების შესყიდვისთვის გადახდილი ავანსი	670,360	-
ლიცენზიის ტექნიკური მხარდაჭერის ავანსი	415,358	468,777
სხვა ავანსები	382,864	125,701
	1,468,582	594,478
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,853,134	2,343,728

კომპანია მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შეფასებისთვის იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას ფასს 9-ის მიხედვით. კოლექტიურად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შეფასებისთვის, სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მიხედვით.

კომპანიის მიერ კლიენტებისთვის შეთავაზებულ საკრედიტო პირობებში მითითებული გადახდის ვადა არასდროს აღემატება 30 დღეს. ფინანსური აქტივები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული.

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2024	2023
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	156,973	144,197
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	378,292	56,653
	535,265	200,850

* ფული და ფულის ეკვივალენტების ვალუტების მიხედვით გაშიფვრა იხილეთ მე-5 განმარტებითი შენიშვნაში.

16. სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

აქციონერები	ერთი აქციის ფასი ლარში	31 დეკემბერი 2024			31 დეკემბერი 2023		
		%	აქციების რაოდენობა	აქციების ღირებულება	%	აქციების რაოდენობა	აქციების ღირებულება
სს თიბისი ბანკი	10	99.53%	287,464	2,874,640	99.53%	287,464	2,874,640
სს ქართუ ბანკი	10	0.47%	1,358	13,580	0.47%	1,358	13,580
		100%	288,822	2,888,220	100%	288,822	2,888,220

განთავსებული კაპიტალი - საქართველოს მენარმეთა კანონის თანახმად, კომპანია აცხადებს, რომ 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მისი საწესდებო კაპიტალი სრულად შეადგენს განთავსებულ კაპიტალს, რომლის ოდენობა შეადგენს 2,888,220 ლარს.

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

17. მიღებული სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
უზრუნველყოფილი სესხები					
ადგილობრივი	აშშ	5.25%	20/08/2025	970,918	2,210,196
ფინანსური ინსტიტუტიდან	დოლარი				
ადგილობრივი	ლარი	11.80%	21/08/2025	186,762	-
ფინანსური ინსტიტუტიდან					
				1,157,680	2,210,196

ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის მიმდინარე და სამომავლო მოძრავი ქონებით.

ფინანსური აქტივობებიდან წარმოქმნილი ცვლილებები მიღებულ სესხებში, რომელიც მოიცავს, როგორც ფულად, ასევე არაფულად ცვლილებებს, შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2024	2023
ნაშთი წლის დასაწყისში	2,210,196	3,386,032
სესხის მიღება	400,000	-
სესხის გადახდა	(1,507,752)	(1,129,866)
პროცენტის გადახდა	(203,573)	(282,852)
არაფულადი ნაკადები:		
პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	203,573	282,852
გადაფასება	55,236	(45,970)
ნაშთი წლის ბოლოს	1,157,680	2,210,196

18. საგაჯრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური ვალდებულებები		
საგაჯრო ვალდებულებები	1,020,796	555,049
სხვა ვალდებულებები	395,171	460,395
	1,415,967	1,015,444
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	416,087	264,794
	416,087	264,794
სულ საგაჯრო და სხვა ვალდებულებები	1,832,054	1,280,238

19. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურაფები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კომპანიის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, დაგროვილი მოგების განაწილება ექვემდებარება დაბეგვრას. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დაგროვილი მოგების მთლიანად განაწილების შემთხვევაში, მოგების გადასახადის ვალდებულება იქნება 5,815,790 ლარი.

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

	დედა კომპანია	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	უმაღლესი ხელმძღვანელობა
ამონაგები	20,734,679	-	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	-	(152,224)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(19,510)	(190,894)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,735,386	105,294	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	488,243	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	62,774	-

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

	დედა კომპანია	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ	უმაღლესი ხელმძღვანელობა
ამონაგები	18,525,279	47,037	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	-	(169,674)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(185,275)	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,223,973	44,521	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	133,133	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15,735	-	-

* 2024 და 2023 წლებში არამატერიალური აქტივების შემოსვლა შესაბამისად მოიცავს სხვადასხვა პროგრამების შესაქმნელად უმაღლესი ხელმძღვანელობის დაკავშირებული ხელფასებს 491,625 ლარისა და 168,630 ლარის ოდენობით.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

სააქციო კაპიტალის ცვლილება - 2025 წლის 13 იანვარს აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით 161,303 ცალი 10 ლარის ნომინალური ღირებულების ჩვეულებრივი სახელობითი აქციის გამოშვების საფუძველზე გაიზარდა კომპანიის კაპიტალი 1,613,030 ლარის ოდენობით. კომპანიის განთავსებული კაპიტალი განისაზღვრა 4,501,250 ლარით. აქციონერთა წილობრივი მდგომარეობა არ შეცვლილა.



სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“ - UFC
მმართველობის ანგარიშგება
2024

სარჩევი:

ორგანიზაციის შესახებ.....	32
გენერალური დირექტორის წერილი.....	33
საქმიანობის მიმოხილვა	34
განვითარების გეგმები.....	38
მმართველობა	38
კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	38
ინფორმაცია სააქციო კაპიტალის ცვლილების შესახებ.....	39
2024 წლის ფინანსური შედეგების მიმოხილვა	39
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	39
სრული შემოსავლის ანგარიშგება	40
ძირითადი რისკები.....	41
სოციალური პასუხისმგებლობა და თანამშრომლები.....	42
ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე.....	43
გარემოს დაცვა.....	43
ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები.....	43

სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“ ორგანიზაციის შესახებ

სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“ (UFC) წარმოადგენს საქართველოში პირველ ბანკთაშორის საპროცესინგო ცენტრს, რომელიც დაარსდა 2001 წლის მარტში, UFC-ის დამფუძნებლები იყვნენ „თიბისი ბანკი“, „აბსოლუტბანკი“, „ინტელექტბანკი“, „თბილკრედიტბანკი“, და „თბილკომბანკი“.

UFC საგადახდო სისტემის ოპერატორად რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 12 ოქტომბრის N 92/04 ბრძანებით დამტკიცებული „საგადახდო სისტემის ოპერატორის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების წესის“ შესაბამისად.

UFC ასევე წარმოადგენს საგადახდო ბარათების დამოუკიდებელ საპროცესინგო ცენტრს, უზრუნველყოფს საქართველოში საბარათო ოპერაციების დამუშავებას. მის საქმიანობაში შედის საბარათო ტრანზაქციების დამუშავება, ბარათების პერსონიფიცირება, სავაჭრო ობიექტების ექვარიზინგის ქსელის მხარდაჭერა, ბანკომატების ქსელის მხარდაჭერა და მართვა და საგადახდო ბარათებთან დაკავშირებული სხვა სერვისები.

UFC დღეისათვის ემსახურება რვა ბანკსა და 10 ფინანსურ ორგანიზაციას. საპროცესინგო ცენტრი ასევე ემსახურება ისეთ კომპანიებს, რომელთა ძირითადი საქმიანობაც არ არის ფინანსური ოპერაციების განხორციელება ან ფინანსური მომსახურების გაწევა, თუმცა კონკრეტულ ბიზნეს პროცესებთან დაკავშირებით მათთვის საინტერესო და საჭირო გახდა ფინანსური ინსტრუმენტებთან ან ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებული რიგი სერვისები, რომელსაც UFC-ისგან მიიღებენ (მაგალითად, დაგროვებითი ბარათები „უნიქარდისა“ და „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასათვის“). ინოვაციური გადაწყვეტილებებით საპროცესინგო ცენტრი მომხმარებლებს მაღალტექნოლოგიურ ახალ პროდუქტებსა და სერვისებს სთავაზობს, რომლებიც უსაფრთხოების უახლესი სტანდარტებითა და საერთაშორისო საგადახდო სისტემების რეკომენდაციებით არის შემუშავებული.

UFC -ის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში საბარათო ბიზნესის განვითარებას სტაბილური საპროცესინგო სისტემითა და ინოვაციური პროდუქტებით. იგი უზრუნველყოფს სრულ საბარათო მომსახურებას VISA International , MasterCard Worldwide და China Union Pay-ის საერთაშორისო რეგულაციებისა და საგადახდო ბარათების უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით.

UFC არის ლიდერი საგადახდო სისტემის ოპერატორი საქართველოში რომლის ქსელშია ჩართული 863 ბანკომატი , 27,404 პოს ტერმინალი და ამუშავებს წელიწადში 1 მილიარდზე მეტ ტრანზაქციას.

კომპანიის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისი, აღმაშენებლის გამზირი N 154.

2019 წლის 8 ოქტომბერს საერთო დამფუძნებლის (სს თიბისი ბანკი) გადაწყვეტილებით სს გაერთიანებულმა საფინანსო კორპორაციამ შეირჩა შპს „საბანკო სისტემების სერვის კომპანია“. შედეგად, გაიზარდა კომპანიის საექსპო კაპიტალი საბანკო სისტემების სერვის კომპანიის წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულების შესაბამისად 899,710 ლარის ოდენობით.

შპს „საბანკო სისტემების სერვის კომპანიის“ შერწყმის შედეგად უკვე სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“ სთავაზობს საქართველოს ლიდერ ფინანსურ ინსტიტუტებს ბანკომატების, პოს ტერმინალების და სხვა საბანკო ტექნიკის (ინფო კიოსკები, სადეპოზიტო აპარატები, ავტომატური სეიფები და სხვა) როგორც ტექნიკურ ისე პროგრამული მხარდაჭერის მომსახურებას.

კომპანიის მომსახურების არეალი მოიცავს მთლიან საქართველოს. კომპანიას მარაგნაწილების საწყობები აქვს საქართველოს დიდ ქალაქებში, რაც რეგიონალურ ინჟინერებს საშუალებას აძლევთ დროულად 24/7-ზე მუშაობის პრინციპით აღმოფხვრან დაზიანებები. კომპანიის კლიენტები არიან, ბანკები, მიკრო საფინანსო ორგანიზაციები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები.

კომპანიას გააჩნია: საკუთარი მარაგნაწილების და სახარჯი მასალების საწყობი როგორც თბილისში ასევე რეგიონებში. რომელიც რეგიონალურ მენეჯერებს საშუალებას აძლევს ოპერატიულად აღმოფხვრას პრობლემები მოწყობილობების განთავსების ნებისმიერ რეგიონში. თბილისის ოფისში განთავსებულია სატესტო მოწყობილობები/სტენდები რომლებზეც ხდება ნაწილების და პროგრამული უზრუნველყოფის მდგრადობის შემოწმება.

გენერალური დირექტორის წერილი

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“ - საფინანსო ინსტიტუტების პარტნიორი მულტისაგადასახადო სისტემების დარგში, რომელიც თითოეულ კლიენტს ინდივიდუალურად შემუშავებულ მრავალფეროვან გადაწყვეტილებას თავაზობს.

UFC - კომპანიაა, რომელიც ნერგავს ინოვაციებს, ავითარებს გადახდის სისტემებს, ხელს უწყობს და ამარტივებს ბიზნეს-ურთიერთობებს. კონსულტაციებს უწევს პარტნიორებს საბარათე სისტემებისა და ელექტრონული კომერციის მიმართულებით.

ჩვენი ფასეულობებია :

პასუხისმგებლობა (ვალდებულების ქონა, სიტყვის შესრულების უნარი)

ჩვენ უზრუნველყოფთ ნებისმიერი პროექტის სრულყოფილ შესრულებას. პროექტის განხორციელების თითოეულ ეტაპზე ხდება სამუშაოთა მიმდინარეობის მუდმივი კონტროლი, რადგან ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას შედეგზე.

ეფექტიანობა (პროდუქტიულობა)

რესურსების პროდუქტიული და ოპტიმალური გამოყენებით, ახალი პროდუქტის შექმნისას, პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებისას მივისწრაფით სასურველი შედეგისკენ.

სირთულეების დაძლევის უნარი (ნებისყოფა, ძლიერი, მოქნილი)

ჩვენ ადვილად ვუმკლავდებით ნებისმიერ გამოწვევას, ამოცანების გადასაჭრელად და მიზნების მისაღწევად ვიყენებთ ცოდნასა და გამოცდილებას, მივისწრაფით უწყვეტი განვითარებისა და კომპეტენციის ამაღლებისაკენ.

ნოვატორობა (სიახლეების დანერგვა, ექსპერტიზის უნარი, ცოდნის გაღრმავება)

ჩვენ ყოველთვის ვეძებთ ახალ გადაწყვეტილებებს, ვამკვიდრებთ ინოვაციებს და ახალ მიმართულებებს, ვითვისებთ უახლეს ტექნოლოგიებს, ვსწავლობთ და პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას გადავცემთ კოლეგებს.

გუნდურობა

ჩვენი მუშაობა ეფუძნება მთელი ჩვენი გუნდის ნდობას, პასუხისმგებლობას და პროფესიონალიზმს.

ჩვენ გაგვაჩნია საერთო მიზნები და ვმოქმედებთ კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, გვჯერა რომ ეფექტიანი მუშაობისთვის და საერთო შედეგის მისაღწევად საჭიროა მთელი გუნდის გამართული მუშაობა და თითოეულის პერსონალური პასუხისმგებლობა.

ჩვენი მისიაა რომ მუდმივი ინოვაციური გადაწყვეტილებებით ვუზრუნველყოთ მარტივი, უსაფრთხო, მოხერხებული გადახდების სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება, რითაც ხელს შევუწყობთ ადამიანების ყოფის გამარტივებას.

ჩვენი ხედვა : გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია იქნება რეგიონში ყველაზე ცნობადი, კლიენტების რაოდენობით უმსხვილესი, ლიდერი საპროცესინგო ცენტრი მულტისაგადახდო სისტემებისა და ახალი პროდუქტების დანერგვა განვითარებაში. კლიენტებისა და აქციონერებისთვის ყველაზე სასურველი ბიზნეს-პარტნიორი მულტისაგადახდო სისტემების სფეროში. კომპანია, რომელსაც გააჩნია ყველაზე ფართო მომსახურების ქსელი და საბარათო სისტემებისა და ელექტრონული კომერციის სფეროში ახორციელებს სრულფასოვან ადმინისტრირებას.

საქმიანობის მიმოხილვა

წლების განმავლობაში ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში UFC საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს შემდეგ მომსახურებებს:

1. ავტორიზაცია-ტრანზაქციების დამუშავება

ავტორიზაცია არის საპროცესინგო ცენტრის მიერ ემიტენტის ან ექვაიერისათვის გაწეული მომსახურება, რომლის ფარგლებშიც, შეთანხმებული რეკვიზიტებისა და პირობების იდენტიფიცირებისა და შემოწმების შემდგომ, ხორციელდება ავტორიზაციის ინსტრუმენტით ოპერაციის განხორციელებაზე ნებართვის გაცემა ან უარი.

ავტორიზაციის ინსტრუმენტით განსახორციელებელი ოპერაციების მაგალითებია: ბანკომატიდან თანხის გატანა, ანგარიშზე თანხის შეტანა, თანხის გადარიცხვა, საქონლის ან მომსახურების საფასურის გადახდა, ბალანსის გაგება და ა.შ. საპროცესინგო ცენტრი სწორედ მსგავსი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს ოპერაციის ავტორიზაციას, რის შედეგადაც ოპერაციის განხორციელებაზე გაიცემა თანხმობა ან უარი.

ავტორიზაციის მომსახურების გაწევას UFC ახორციელებს, როგორც „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედი და რეგისტრირებული საგადახდო სისტემების ოპერატორი. ამასთან, ავტორიზაციის პროცესში შესაძლოა ასევე მონაწილეობდეს საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, რომელიც იმავე კანონით განსაზღვრულ ფარგლებში ახორციელებს ავტორიზაციის არხის ტექნიკურ უზრუნველყოფას მათი ფუნქციონირების მიზნით.

საპროცესინგო ცენტრის მიერ განხორციელებული ერთი ავტორიზაციის ოპერაცია შესაძლოა შედგებოდეს რამდენიმე პროგრამული ქმედებებისგან, მაგალითად:

- ავტორიზაციის არხის და ავტორიზაციის ინსტრუმენტის იდენტიფიცირება.
- თაღლითური ოპერაციების იდენტიფიცირების და მართვის სისტემაში გადამოწმება.
- კლიენტის, ანგარიშების, ბარათების, ხელმისაწვდომი ნაშთების, ბლოკირებული თანხების შემოწმება.
- სტოპ-სივების შემოწმება.
- კლიენტის და მისი პარამეტრების სტატუსების შემოწმება.
- სისტემაში განერილი შეთანხმების (პროდუქტის) პირობების შემოწმება.
- ინფორმაციული და არითმეტიკული მანიპულაციები.

ავტორიზაციის პროცესში ინფორმაცია ონლაინ რეჟიმში ელექტრონულად გადაეცემა საპროცესინგო ცენტრს, სადაც ხორციელდება ავტორიზაციის ინსტრუმენტით მფლობელის იდენტიფიკაცია, მოწმდება ავტორიზაციის ინსტრუმენტის ნამდვილობა, დამაიდენტიფიცირებელი მონაცემების (მაგ.: ონლაინ/ოფლაინ პინ-კოდი ან მფლობელის ხელმოწერა) სისწორე, ავტორიზაციის ინსტრუმენტის უკან მდგომ ემიტენტის კლიენტის ანგარიშზე (ანგარიშებზე) შესაბამისი სახსრების არსებობა, გენერირდება ავტორიზაციის კოდი, ინფორმაცია უბრუნდება ავტორიზაციის ინსტრუმენტს და ავტორიზაციის ინსტრუმენტის მფლობელს (ემიტენტის კლიენტს) ენიჭება უფლება სათანადო ოპერაციის შესასრულებლად.

ავტორიზაციის თვალსაჩინო მაგალითებს წარმოადგენს შემდეგი პროცესები:

პლასტიკური ბარათით ბანკომატში ოპერაციის შესრულების დროს, ბანკომატი აფორმირებს მოთხოვნას შესაბამისი ინფორმაციის შემცველი ველებით, რომელიც იგზავნება საპროცესინგო ცენტრში და ავტორიზაციის ჩატარების შემდგომ შესაბამისი პასუხი ბრუნდება მონაცემების მფლობელს, რაც თავის მხრივ შესაძლოა დასრულდეს თანხის გაცემით ან თანხის გაცემაზე უარით.

Mobile Bank-ის მეშვეობით კლიენტი ცდილობს კომუნალური გადასახადის დაფარვას, რის დროსაც თავად მობილური აპლიკაცია ან მისი მაკონტროლებელი ცენტრალიზირებული საბანკო სისტემა აფორმირებს მოთხოვნას შესაბამისი ინფორმაციის შემცველი ველებით, რომელიც იგზავნება საპროცესინგო ცენტრში და ავტორიზაციის ჩატარების შემდგომ შესაბამისი პასუხი ბრუნდება მაინიცირებელ სისტემასთან.

ავტორიზაციის მომსახურების ფარგლებში, კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, ასევე შესაძლოა განხორციელდეს საპროცესინგო ცენტრის კლიენტების ან ამ კლიენტების სერვისების მომხმარებლების ინფორმირება განხორციელებული ავტორიზაციის შესახებ, მათ შორის:

- **ნოტიფიკაცია**, რომლის დროსაც საპროცესინგო ცენტრის მიერ განხორციელებული ავტორიზაციის შესახებ ინფორმაცია (შესრულებული ოპერაციის თანხა, ვალუტა, დრო, ობიექტი და ა.შ) მყისიერად ეგზავნება მომსახურების დამკვეთ ემიტენტს ან ექვაიერს პროგრამული უზრუნველყოფის (მაგ.: ვებ-სერვისების) მეშვეობით.
- **SMS შეტყობინებები**, რომლის ფარგლებშიც ემიტენტის კლიენტს ეგზავნება განხორციელებული ავტორიზაციის შესახებ ინფორმაცია (შესრულებული ოპერაციის თანხა, ვალუტა, დრო, ობიექტი და ა.შ), მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) მეშვეობით.

ფინანსურ სექტორში მოქმედი კომპანიების (ბანკი, მისო) გარდა, ავტორიზაციის მომსახურებას საპროცესინგო ცენტრი ასევე უწევს სხვა ფინანსურ ორგანიზაციებს პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით უწევს ამ ფინანსური ორგანიზაციების კლიენტის ავტორიზაციის ინსტრუმენტისა და ანგარიშების პარამეტრების მართვის მომსახურებას.

2. ფინანსური ორგანიზაციის კლიენტის ანგარიშისა და ავტორიზაციის ინსტრუმენტის პარამეტრების მართვა

საპროცესინგო ცენტრი ბანკებსა და სხვა ფინანსურ ორგანიზაციებს პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით უწევს ამ ფინანსური ორგანიზაციების კლიენტის ავტორიზაციის ინსტრუმენტისა და ანგარიშების პარამეტრების მართვის მომსახურებას.

მოცემული მომსახურების მიზნებისათვის:

- პარამეტრებში იგულისხმება ფინანსური ინსტიტუტების მიერ მისი კლიენტის ანგარიშსა და ავტორიზაციის ინსტრუმენტთან დაკავშირებით მონაცემთა ბაზაში შეტანილი ინფორმაცია, როგორიცაა: კლიენტის სახელი და გვარი/დასახელება, პირადი ან საიდენტიფიკაციო ნომერი, ანგარიშის ნომერი, ანგარიშის ვალუტა, პრიორიტეტულობა, საკრედიტო ლიმიტი და ა.შ.
- პარამეტრების მართვაში იგულისხმება პარამეტრების ყველა სახის რეგისტრაცია, ცვლილება ან განახლება, რაც საშუალებას აძლევს ფინანსურ ორგანიზაციებსა და მათ კლიენტებს გახსნან, განკარგონ ან დახურონ ანგარიშები, ამ ანგარიშებისა და ავტორიზაციის ინსტრუმენტების საშუალებით განახორციელონ ფინანსური ინსტრუმენტის (მათ შორის ფული) მიმოქცევა და მიმოქცევასთან დაკავშირებული ოპერაციები ნაღდი და უნაღდო ფორმით.

ფინანსური ორგანიზაციის კლიენტის ანგარიშისა და ავტორიზაციის ინსტრუმენტის პარამეტრების მართვის მაგალითებია:

- საპროცესინგო ცენტრის სისტემაში ბანკის კლიენტის საბანკო ანგარიშის ან/და საბანკო ბარათის რეგისტრაცია.
- რეგისტრირებული კლიენტისთვის საკრედიტო ლიმიტის და ვადის, ვალუტის პრიორიტეტის, ბონუს თანხის, ინკასო-ყადაღის ცვლილება.
- საბანკო ბარათის დაბლოკვა-განბლოკვა სხვადასხვა დანიშნულებით.
- ბარათის გაუქმება.
- ანგარიშის დახურვა.

აღნიშნული სერვისი საპროცესინგო ცენტრში შექმნილი პროდუქტია და მისი დანიშნულებაა უფრო მოქნილი გახადოს კლიენტი ორგანიზაციების საოპერაციო საქმიანობა, შეამციროს ადამიანური ფაქტორით გამოწვეული შეცდომების რისკები, საშუალება მისცეს ბანკებს ცენტრალიზებულად მართონ მათი კლიენტების ინფორმაცია და პარამეტრები, ოპტიმიზაცია გაუკეთოს რესურსებს რომლებიც იხარჯება იგივე ქმედებების ალტერნატიური საშუალებებით. აღნიშნული სერვისი კლიენტს (ბანკი, ფინანსური ორგანიზაცია) საშუალებას აძლევს ცენტრალიზირებულად, დისტანციურად და მყისიერად საპროცესინგო ცენტრის სისტემებშიც ასახოს ყველა განხორციელებული ცვლილება.

3. ფინანსური ორგანიზაციის კლიენტის ანგარიშისა და ავტორიზაციის ინსტრუმენტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება

დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, საპროცესინგო ცენტრი ახორციელებს ბანკებისა და სხვა ფინანსური ორგანიზაციების კლიენტის ანგარიშისა და ავტორიზაციის ინსტრუმენტის შესახებ არსებული ინფორმაციის უწყვეტ რეჟიმში მიწოდებას დამკვეთის სისტემების, ოპერატორების ან თავად ამ ფინანსური ორგანიზაციის კლიენტისათვის.

ინფორმაციის მიწოდება არის სერვისი, რომელიც საშუალებას აძლევს ბანკის ან სხვა ფინანსური ორგანიზაციის სისტემებს, ოპერატორს ან თვითონ კლიენტს, ონლაინ რეჟიმში მიიღოს ინფორმაცია კლიენტის ანგარიშების და მასზე მიბმული ბარათების ფინანსური მდგომარეობის და სტატუსების შესახებ. მაგალითად: ანგარიშების ჩამონათვალი, ბარათების ჩამონათვალი, ბარათის სტატუსის ნახვა, ნაშთის ნახვა, დაბლოკილი თანხის შესახებ ინფორმაცია, ხელმისაწვდომი თანხის შესახებ ინფორმაცია და ა.შ. სანამ ფინანსური ორგანიზაციის ოპერატორს საშუალება მიეცემა მართოს მისი კლიენტის პარამეტრები, მან პირველ რიგში უნდა შეძლოს მიმდინარე მდგომარეობის დანახვა. იმ მომენტში როდესაც ოპერატორი შედის სისტემაში და მოძებნის საჭირო კლიენტის შესაბამის ინფორმაციას, მას მიეწოდება იმ მომენტისთვის კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაცია, როგორც ბანკში, ასევე საპროცესინგო ცენტრში. მას შემდეგ რაც ოპერატორი გადაწყვეტს და განახორციელებს საჭირო მანიპულაციებს ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ცვლილება მომენტალურად ისახება საპროცესინგო ცენტრშიც.

ფინანსური ორგანიზაციის კლიენტის ანგარიშებისა და ავტორიზაციის ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება აქტიურად გამოიყენება მობილურ და ინტერნეტ ბანკებშიც. როდესაც მომხმარებელი შედის რომელიმე არხზე და ხსნის მაგალითად „ანგარიშები და ბარათების“ ბმულს, აღნიშნული ქმედება იწვევს ინფორმაციის მიწოდების სერვისის „გამოძახებას“, რაც თავის მხრივ პასუხის სახით უბრუნებს ინფორმაციას მისი ანგარიშების და ბარათების მდგომარეობის შესახებ და ისახება შესაბამის ფანჯარაში. ამ ინფორმაციის საფუძველზე მომხმარებელს შეუძლია მომდევნო ქმედება განახორციელოს: გადაიხადოს კომუნალური გადასახადი, გადარიცხოს თანხა სხვა ანგარიშზე ან მართოს მისი მახასიათებელი პარამეტრები და ა.შ.

4. ავტორიზაციის ინსტრუმენტის პერსონიფიცირება

ავტორიზაციის ინსტრუმენტის პერსონიფიცირება არის მომსახურება, რომლის დროსაც საპროცესინგო ცენტრი ახდენს ემიტენტის კლიენტის ან ამ კლიენტის ანგარიშზე პროგრამულად მიბმული უნიკალური ინფორმაციის მატარებელი ავტორიზაციის ინსტრუმენტის გენერირებას, ამ ავტორიზაციის ინსტრუმენტზე ხდება მფლობელის (ემიტენტის კლიენტის) პარამეტრებისა და მის შესახებ პერსონალური მონაცემების ჩანერა, ბარათის ემბოსირებით ან მის გარეშე.

ამასთან, ემბოსირება არის მატერიალური ფორმის მქონე ავტორიზაციის ინსტრუმენტის (მაგალითად საბანკო პლასტიკური ბარათი), დამუშავების და გაფორმების პროცესი, რომლის დროსაც ხორციელდება ავტორიზაციის ინსტრუმენტზე დამკვეთთან შეთანხმებული ღირებულების ბეჭდვა და საიდენტიფიკაციო მონაცემების რელიეფური ფორმით გადატანა - ინფორმაცია თავსდება პლასტიკურ ბარათზე, ხდება შესაბამისი ინფორმაციის ზედაპირზე დატანა (ამოტევირა), ჩიპზე და/ან მაგნიტურ ზოლზე მისი ჩაწერა, ლამინირება და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ UFC არ ახორციელებს ავტორიზაციის ინსტრუმენტის მატერიალური სახით დამზადებას, შესყიდვას ან ემიტენტისათვის მიწოდებას: თუ პერსონიფიცირებას დაქვემდებარებული საგადახდო ინსტრუმენტს გააჩნია მატერიალური ფორმა, ემიტენტი თავად ახდენს ავტორიზაციის ინსტრუმენტის ე.წ. შაბლონური პლასტიკის (ფიზიკური ფორმის, ნულოვანი, ცარიელი პლასტიკური ბარათი) შესყიდვას და მისსავე საკუთრებაში რჩება ავტორიზაციის პროცესში - საპროცესინგო ცენტრი პერსონიფიცირების პროცესში ამ საგადახდო ინსტრუმენტზე მხოლოდ მფლობელის პარამეტრებისა და მონაცემების ჩაწერას ახორციელებს.

პერსონიფიცირება შესაძლოა განხორციელდეს ავტორიზაციის ინსტრუმენტების სხვადასხვა ტიპების შესაბამისად, მაგალითად:

- **სასწრაფო ბარათი** - აღნიშნული სერვისი უზრუნველყოფს კლიენტის დაკვეთის პრიორიტეტის ცვლილებას, რომლის დროსაც დაკვეთილი პლასტიკური ბარათი არ ელოდება მისთვის დასამზადებლად განკუთვნილ რიგს, კონვეიერი წყვეტს მუშაობას და პირველ რიგში მუშავდება აღნიშნული მოთხოვნა.
- **ინდივიდუალური ღირებულების ბარათი** - აღნიშნული სერვისი უზრუნველყოფს კლიენტის მიერ შერჩეული და შესაბამისი ინტერნეტ პორტალით ატვირთული არასტანდარტული სურათის/ტექსტურის/ღირებულების განთავსებას პლასტიკური ბარათის ზედაპირზე.
- **სტიკერ ბარათი** - აღნიშნული სერვისი უზრუნველყოფს მცირე ზომის სტიკერის მსგავსი პლასტიკური ბარათის დამზადებას, რომელიც შესაძლოა დაწებდეს მობილური ტელეფონის დამცავ ხუფზე და შეუძლია უკონტაქტო ავტორიზაციის ინიცირება როგორც გადახდის ინსტრუმენტს.
- **NFC ბარათების პერსონიფიცირება** - ამ პროცესში ასევე ხორციელდება ბარათის პერსონიფიცირება, თუმცა არ ხდება ემბოსირების პროცესი. ასეთი სახის ბარათი ინფორმაციულად ხდება მობილური ტელეფონის პროგრამულ უზრუნველყოფაში და მას საშუალებას აძლევს მობილური ტელეფონი გამოიყენოს გადახდის ინსტრუმენტად. აღნიშნული ტექნოლოგია შედარებით ახალია ბაზარზე და მისი მხარდაჭერა შეუძლია ახალი მობილური მოწყობილობების მხოლოდ იმ ნაწილს, რომლებიც აღჭურვილია ე.წ. NFC ინტეგრირებული ანტენით.

ავტორიზაციის ინსტრუმენტის პერსონიფიცირების მომსახურების ფარგლებში ასევე ხორციელდება ავტორიზაციის ინსტრუმენტთან დაკავშირებული ინფორმაციის გენერირება და მომხმარებელთათვის მიწოდება სხვადასხვა გზით. მაგალითად: საპროცესინგო ცენტრი ავტორიზაციის ინსტრუმენტის ემიტენტის დაკვეთით ახორციელებს ავტორიზაციის ინსტრუმენტის (საბანკო ბარათის) უსაფრთხოების კოდის (PIN) გენერირებას და ავტორიზაციის ინსტრუმენტის მფლობელისათვის მის მიწოდებას პინ-კონვერტის ან მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) მეშვეობით:

- **PIN-ის მიწოდება პინ-კონვერტით** - პლასტიკურ ბარათს თან ახლავს ე.წ. პინ-კონვერტი, რომელშიც მოთავსებულია ბარათის უსაფრთხოების კოდი. მისი დამზადება ხდება საპროცესინგო ცენტრში პერსონიფიცირების პროცესის პარალელურად, უსაფრთხოების კოდის წაკითხვა კონვერტის დაუზიანებლად შეუძლებელია და კლიენტზე გადაცემა ხდება უშუალოდ ბარათთან ერთად. ბანკის რეკომენდაციით, წაკითხვის და დამახსოვრების შემდგომ იგი უნდა განადგურდეს.
- **PIN-ის მიწოდება SMS მეშვეობით** - ეს პროცესი წარმოადგენს ზემოთაღნიშნული ფიზიკურად დაბეჭდილი პინ-კონვერტის ალტერნატივას და PIN-ის დისტრიბუცია ხორციელდება კლიენტის მობილურ ტელეფონზე SMS შეტყობინების მეშვეობით, კლიენტზე ბარათის გადაცემის მომენტში.

5. ბანკომატში ინდივიდუალური შეთავაზების სერვისი (ATM Offers)

ბანკომატში ინდივიდუალური შეთავაზების სერვისის ფარგლებში საპროცესინგო ცენტრი ემიტენტის ან ექვაიერის დაკვეთით ახორციელებს ავტორიზაციის პროცესში ემიტენტის კლიენტის იდენტიფიცირებას, ემიტენტის სისტემიდან გამოითხოვს კონკრეტულად ამ კლიენტზე დაშვებულ შეთავაზებას და ავტორიზაციის არხის გამოყენებით უზრუნველყოფს ემიტენტის ან ექვაიერის კლიენტისათვის ამ შეთავაზების შესაბამის ფორმატში წარდგენას ოპერაციის განხორციელების პარალელურად ისე, რომ კლიენტს ხელი არ შეუშალოს ქმედებების განხორციელებაში.

საპროცესინგო ცენტრის კლიენტი ორგანიზაციები ამ სერვისს იყენებენ მათი კლიენტების ინფორმირებისთვის ამა თუ იმ შეთავაზებასთან დაკავშირებით.

საპროცესინგო ცენტრისათვის ბანკომატში ინდივიდუალური შეთავაზებების სერვისის დამკვეთს წარმოადგენს ფინანსური ორგანიზაციები (ბანკები), შესაბამისად, ემიტენტის ან ექვაიერის კლიენტს ამ სერვისის ფარგლებში წარედინება შეთავაზებები ფინანსურ ოპერაციებზე.

მაგალითად: ბანკის კლიენტის მიერ ბანკომატში ბარათის მოთავსების და ავტორიზაციის განხორციელებისა და მისი იდენტიფიცირების შემდგომ, სტანდარტული ოპერაციების პარალელურად ბანკომატის ეკრანზე ჩნდება შეთავაზება საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის შესახებ.

6. ბანკომატების და პოს ტერმინალების და სხვა საბანკო მოწყობილობების ტექნიკური და პროგრამული მხარდაჭერა

გულისხმობს ბანკომატების, პოს ტერმინალების, სადეპოზიტო აპარატების, Smart Safe-ების, ღამის სეიფების პროგრამული და ტექნიკური მომსახურებას, მუდმივ მონიტორინგს მათ გამართულ /უხარვეზო მუშაობაზე, ტექნიკური ჯგუფის მიერ უმოკლეს ვადებში თბილისსა თუ რეგიონებში არსებული მოწყობილობების შეკეთება-შეცვლას.

განვითარების გეგმები

გაერთიანებულ საფინანსო კორპორაციაში მუდმივად მიმდინარეობს ახალი სერვისების და ტექნოლოგიების დანერგვა.

საბანკო ტექნოლოგიების მიმართულებით UFC მომავალ წლებში გეგმავს დანერგვას და განავითაროს ახალი საგადამხდელო ტექნოლოგიები , ახალი პროდუქტების და ვენდორების დამატებით.

IT ტექნოლოგიების და IT უსაფრთხოების სისტემების მიმართულებით UFC მომავალ წლებში გეგმავს არსებული პროდუქტების უფრო მეტად დახვეწას, ახალი პროდუქტების დანერგვას, არსებულ ვენდორებთან ურთიერთობის გაღრმავებას და ახალი ვენდორების დამატებას, თანამშრომელთა გადამზადებას და კომპეტენციის დონის გაღრმავებას.

მმართველობა

გაერთიანებულ საფინანსო კორპორაციაში უმაღლესი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი და საშუალო რგოლის მენეჯერებისგან. კომპანიის დირექტორი და მისი მოადგილეები ყოველკვარტლურად აორგანიზებენ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას, სადაც ხდება სტრატეგიული გადაწყვეტილებების განხილვა და მიღება. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა შეიძლება ჩატარდეს უფრო ხშირად თუ ამის საჭიროება არსებობს.

კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანიას მისი საქმიანობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე წლის განმავლობაში არ უწარმოებია საცდელ-საკონსტრუქციო სამუშაოები, თუმცა დიდი ყურადღება და რესურსი იხარჯება სასერვეროს , ქსელის ინფრასტრუქტურის , ელექტრობის და შენობის მართვის სისტემების განვითარების მიმართულებით.

ინფორმაცია სააქციო კაპიტალის ცვლილების შესახებ

სააქციო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

აქციონერები	ერთი აქციის ფასი ლარში	31 დეკემბერი 2024			31 დეკემბერი 2023		
		%	აქციების რაოდენობა	აქციების ღირებულება	%	აქციების რაოდენობა	აქციების ღირებულება
სს თიბისი ბანკი	10	99.53%	287,464	2,874,640	99.53%	287,464	2,874,640
სს ქართუ ბანკი	10	0.47%	1,358	13,580	0.47%	1,358	13,580
		100%	288,822	2,888,220	100%	288,822	2,888,220

2024 წლის ფინანსური შედეგების მიმოხილვა

სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაციის“ ფინანსური შედეგები მომზადებულია საერთაშორისო ფინანსური სტანდარტების მიხედვით. კომპანიას აუდიტორული მომსახურება გაუწია შპს „ბიდიო აუდიტმა“.

გამოქვეყნებული ანგარიშგება ასახავს კომპანიის ბოლო ორი წლის ფინანსურ მდგომარეობას.

წარმოგიდგენთ ფინანსურ ანგარიშგებას კომპანიის შესახებ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	4,463,849	4,031,577
აქტივის გამოყენების უფლება	2,325,656	2,343,029
არამატერიალური აქტივები	35,025,818	25,955,465
	41,815,323	32,330,071
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	1,346,714	1,189,096
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,853,134	2,343,728
ფული და ფულის ეკვივალენტები	535,265	200,850
	5,735,113	3,733,674
სულ აქტივები	47,550,436	36,063,745
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	2,888,220	2,888,220
გაუნაწილებელი მოგება	38,771,938	26,841,960
სულ კაპიტალი	41,660,158	29,730,180
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	-	933,320
საიჯარო ვალდებულებები	2,017,000	1,986,506
	2,017,000	2,919,826

მოკლევადიანი ვალდებულებები

მიღებული სესხები	1,157,680	1,276,876
საიტარო ვალდებულებები	613,711	433,049
საფაქრო და სხვა ვალდებულებები	1,832,054	1,280,238
საგადასახადო ვალდებულება	269,833	423,576
	3,873,278	3,413,739
სულ ვალდებულებები	5,890,278	6,333,565
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	47,550,436	36,063,745

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	2024	2023
ამონაგები	27,930,084	24,195,412
საქონლის რეალიზაციის თვითღირებულება	(1,902,007)	(1,946,370)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(4,552,534)	(4,134,020)
ცვეთა და ამორტიზაცია	(2,636,092)	(2,914,513)
პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა	(3,162,375)	(2,467,343)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(3,052,053)	(2,759,981)
საოპერაციო მოგება	12,625,023	9,973,185
წმინდა ფინანსური ხარჯი	(440,547)	(367,711)
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	(252,133)	(113,123)
მოგება დაბეგვრამდე	11,932,343	9,492,351
მოგების გადასახადის ხარჯი	(2,365)	-
წლის მთლიანი სრული მოგება	11,929,978	9,492,351

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	2024	2023
უკუგება კაპიტალზე ¹	29%	32%
უკუგება აქტივებზე ²	25%	26%
ხარჯი/შემოსავალთან ³	55%	59%

ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრება:

- უკუგება კაპიტალზე უდრის აქციონერების კუთვნილ წმინდა მოგებას, შეფარდებული იმავე პერიოდის აქციონერების კუთვნილი კაპიტალის საშუალო მაჩვენებელზე
- უკუგება აქტივებზე უდრის წმინდა მოგებას, შეფარდებულს იმავე პერიოდის მთლიანი აქტივების საშუალო მაჩვენებელზე
- ხარჯი/შემოსავალთან უდრის პერიოდის მთლიან საოპერაციო ხარჯებს, შეფარდებულს იმავე პერიოდის მთლიან საოპერაციო შემოსავლებთან

ძირითადი რისკები

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაციის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია რისკების მართვა. კომპანიის ბიზნესიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია რისკების დროულად იდენტიფიცირება და ეფექტურად მართვა. კომპანიაში დანერგილია რისკების მართვისა და მონიტორინგის პროცესი, რომელსაც კურიერებს ორგანიზაციის ინფორმაციული უსაფრთხოებისა და რისკების მართვის დეპარტამენტი, როგორც დამოუკიდებელი მხარე, რომელიც ახდენს სხვადასხვა პროცესების დამოუკიდებელ შემოწმებასა და შეფასებას. ამასთან, დამფუძნებელი კომპანიის შიდა აუდიტის განყოფილება პერიოდულად ატარებს დამოუკიდებელ შემოწმებას, რათა დროულად იქნას აღმოჩენილი რისკები და გაუმჯობესებული შესაბამისი კონტროლები.

ქვემოთ ჩამოთვლილია UFC-ის ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის კომპანიის საქმიანობის შედეგებზე.

1. კომპანიას აქვს საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკი

სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაციის“ საქმიანობა რეგულირდება და შესაბამისად აქვს საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკი. ადგილობრივ მარეგულირებელს, საქართველოს ეროვნულ ბანკს, შეუძლია მოთხოვნები და ვალდებულებები გაუზარდოს მთელ სექტორს.

რისკის აღწერა

მარეგულირებლის მხრიდან, საქართველოს ეროვნული ბანკი, შესაძლებელია საკანონმდებლო მოთხოვნების გამკაცრება. კომპანიას ასევე არეგულირებს შესაბამისი საგადასახადო კოდექსი და საქართველოში მოქმედი სხვა შესაბამისი კანონები.

რისკის მითიგაცია

მარეგულირებლის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ორგანიზაციის შესაბამისობის რისკების სპეციალისტი პასუხისმგებელია საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის რისკის მართვაზე და ანგარიშვალდებულია გენერალურ დირექტორთან და ფინანსურ დირექტორთან.

2. კიბერშეტევებით გამოწვეული საფრთხე

გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია საქართველოში პირველი და ყველაზე მსხვილი ბანკთაშორისი საპროცესინგო ცენტრი, რომელიც კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა ინოვაციურ გადაწყვეტილებებს და ამუშავებს ბარათის მფლობელთა ფასიულ მონაცემებს, რითაც იგი კიბერ კრიმინალთა სამიზნეს წარმოადგენს.

ვინაიდან გაერთიანებული საფინანსო კორპორაციისთვის ინფორმაციასა და ინფორმაციულ რესურსებს გააჩნიათ სასიცოცხლო მნიშვნელობა, რათა მიღწეულ იქნას ბიზნეს მიზნები, შესაბამისად ინფორმაციული უსაფრთხოება ორგანიზაციის სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

„გაერთიანებულ საფინანსო კორპორაციის“ ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტი 24/7/365 ზრუნავს ორგანიზაციაში წარმოებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის უსაფრთხოებაზე, რათა იგი დაცულ იქნას შიდა თუ გარე ფართოდ გავრცელებული საფრთხეებისგან.

რისკის აღწერა

კიბერშეტევების რისკი შესაძლოა წარმოქმნილ იქნას როგორც გარე, ასევე ორგანიზაციის შიდა ვექტორებიდან, სხვადასხვა ფორმითა და ზიანის მაჩვენებლით. მსგავსი რისკები მუდმივად იცვლება და მოითხოვს განუწყვეტელ ყურადღებასა და ინვესტიციას.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ქართულ კომერციულ ბანკებსა მათ სერვის პროვაიდერებზე რაიმე სერიოზული კიბერშეტევა არ განხორციელებულა, მზარდი დამოკიდებულება საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციურ საგადასხდელ სერვისებზე ზრდის პოტენციური კიბერშეტევების წარმოქმნის რისკს.

რისკის მიტიგაცია

გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია თავისებდობაშია PCI DSS, PCI PIN Security და ISO 27001 საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან და ყოველწლიურად წარმატებით გადის ზემოთ ხსენებული სტანდარტების შიდა აუდიტის პროცესს, რაც განპირობებულია იმით, რომ ორგანიზაციაში დანერგილია რისკების მართვის პროცესი, დადგენილი პერიოდულობით ხორციელდება ორგანიზაციის ქსელში ჩართული სისტემებისა თუ აპლიკაციების ტესტირება სისუსტეებსა და შეღწევადობაზე, მუდმივად მიმდინარეობს არსებული უსაფრთხოების ინციდენტებისა თუ მოვლენების მონიტორინგი, არსებული სერვისების აღდგენის პოლიტიკა უზრუნველყოფს ბიზნესის უწყვეტობას და ორგანიზაციაში დანერგილია ინფორმაციული უსაფრთხოების ცნობადობის ასამაღლებელი სასწავლო პროგრამა, რომელიც თანამშრომლებს ეხმარება კიბერ-უსაფრთხოებაში არსებული ფართოდ გავრცელებული საფრთხეების თავიდან არიდებაში.

გარდა ზემოთ ხსენებულისა, ორგანიზაციაში რეგულარულად ხორციელდება მომხმარებელთა და მათი წვდომის უფლებების გადახედვა, ქსელური სეგმენტაციის ანალიზი, ცვლილებათა მართვა, ფიზიკური უსაფრთხოების მექანიზმების რეგულარული შემოწმება და სხვა.

3. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს ვალდებულებების დაფარვას გადახდის ვადის შემდგომ პერიოდში, კომპანია ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით მუდმივად ახორციელებს მომავალი საპროგნოზო ფულადი ნაკადების დაგეგმვასა და შესაბამის ანალიზს. იმისათვის რომ თავიდან იქნას აცილებული ლიკვიდურობის რისკი, კომპანია მუდმივად ახორციელებს ფულადი ნაკადების როგორც შემოსავლების ასევე გასავლების დეტალურ დაგეგმვასა და კონტროლს კვირის, თვის და კვარტლის ტერმინებში. ფულადი სახსრების დეფიციტის თავიდან აცილების მიზნით ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებამდე ხორციელდება ანალიზი თუ რა ზეგავლენა ექნება თარიღების ტერმინებში ახალ ვალდებულებებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

4. სავალუტო რისკი

კომპანიას სავალუტო რისკი წარმოეშობა იმ გაყიდვებიდან და შესყიდვებიდან რომელიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში, კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების უმეტესობა გამოხატულია აშშ დოლარსა და ევროში. მენეჯმენტი რეგულარულად აანალიზებს და მართავს კომპანიის სავალუტო რისკებს და ღია სავალუტო პოზიციებს.

სოციალური პასუხისმგებლობა და თანამშრომლები

გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია ყოველდღიური საქმიანობის ფარგლებში მნიშვნელოვნად მიიჩნევს სოციალური პასუხისმგებლობისა და გარემოზე ზემოქმედების საკითხებს. საკადრო პოლიტიკა კომპანიის საქმიანობის და სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. პოლიტიკა მიზნად ისახავს ძირითადი მიზნების მიღწევას და საზოგადოების წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრას. კომპანია მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების კმაყოფილებაზე და მოტივაციაზე შემდეგი გზებით : თანამშრომლებისთვის წელიწადში მინიმუმ ორჯერ ტარდება გუნდურობის ამაღლების ღონისძიებები, ხდება გრძელვადიანი თანამშრომლობის ნახალისება მატერიალური და არამატერიალური ფორმით, მუდმივად ხორციელდება წარმატებული თანამშრომლების შეფასება, დაწინაურების და განვითარების მიზნით, ორგანიზაციაში დანერგილია მატერიალური ნახალისების სქემები დაოჯახების და შვილის შეძენის შემთხვევებში, ორგანიზაცია უზრუნველყოფს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯების ანაზღაურებას, ორგანიზაციაში დანერგილია წარმატებული თანამშრომლების სწავლის და ტრენინგების დაფინანსების სისტემები.

კომპანიაში დანერგილია თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევის და შეთავაზებების შეფასების სისტემა. ხორციელდება შედეგების და შეთავაზებების პერიოდული განხილვები რომლის საფუძველზეც ხდება ოპერაციებში, შინაგანანსებში და პროცედურებში ცვლილებების შეტანა.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კომპანიაში, თანამშრომელთა სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თანამშრომელთა შრომის უსაფრთხოებას. შესაბამისად ამ კუთხით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები სხვადასხვა მიმართულებით. შრომის უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი შენობის ინფრასტრუქტურა. განისაზღვრა თანამშრომელთა სამუშაო ადგილისა, ფუნქციები და მოვალეობები რის საფუძველზეც დადგინდა შიდა ინსტრუქციები შრომის უსაფრთხოების კუთხით.

ორგანიზაციის შენობაში განთავსებულია ხანძარსა და სხვა საფრთხეებისგან ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს პერიოდულად უტარდებათ ტრენინგები, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება ხანძრის და გაუთვალისწინებელი შემთხვევებში. სამუშაო გარემოს უსაფრთხოებაზე გამოყოფილია სპეციალური თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

გარემოს დაცვა

გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია არ წამოადგენს იმ საწარმოთა რიცხვს, რომელთა საქმიანობამ შეიძლება ზიანი მიადგენდეს გარემოს. მიუხედავად ამისა კომპანია მუდმივად ზრუნავს გარემოს დაცვაზე, ჩამოწერილი კომპიუტერული სპეც. ტექნიკა ნადგურდება სახელმწიფოს მიერ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე სრული წესების დაცვით. კომპანიაში გამოყენებული ნებისმიერი სახის ქაღალდი გროვდება სპეციალურად განთავსებულ ურნებში, რომელიც შემდგომ ბარდება მაკულატურაში. კომპანიის თანამშრომლებს აქვთ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა გარემოს დაცვის მიმართ.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაციის 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 3 ივლისს შემდეგი პირის მიერ:

eSigned by:
Alexander Ketishvili: f32c75f8-30bb-4c42-87ad-50....

Alexander Ketishvili

Certified by Signify

ალექსანდრე ქეტიშვილი

დირექტორი